თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც თავდაპირველად საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ სააკრედიტაციო განაცხადი წარმოდგენილ იქნა პროგრამაზე სახელწოდებით „ჟურნალისტიკა და საჯარო ურთიერთობები“ კვალიფიკაციით „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი“, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოდგენილია პროგრამაზე სახელწოდებით „ჟურნალისტიკა“, კვალიფიკაციით „სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი“. ლევან მადათოვმა საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიღევად რეჟიმშია, სასურველია სწავლების პროცესში, მეტი ფოკუსირება მოხდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) კომპეტენციების გამომუშავებაზე. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ბაზაზე პროფესიული სწავლებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობა. მაგ: უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას ერთგვარი მულტიმედია ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების მიერ აუდიო-ვიდეო, ონ-ლაინ პროდუქციის შექმნა და საიტზე განთავსება. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს პროგრამის მიღების შემდეგ, რიგი საგნების (მაგ: პერფორმანსი, სწრაფი კითხვის კურსი, მეტყველება, და სხვა) არჩევით მოდულად შეთავაზების შესაძლებლობა.

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სასურველია, სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და რაც მთავარია - თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსების შედეგების მიღწევას.

- პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, სადაც ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები წარმოადგენს 185 კრედიტს. ამას ემატება თავისუფალი კრედიტები. სასურველია, მოხდეს ძირითადი სპეციალობისთვის განკუთვნილი 185 კრედიტის ფარგლებში არჩევითი საგნების შეთავაზება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა გაჟღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამა სულ 4 წელს მოიცავს და ამჟამად 2 წელი იყო დარჩენილი პროგრამის დასრულებამდე, შესაბამისად, პროგრამის მოდიფიცირება რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცხადია, შესაძლებელი იყო, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილად აღარ ესახებოდათ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88 მუხლის 7¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

14. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრობიოტექნოლოგიის (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამას თან ერთვის სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქცია. სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 30 კრედიტი და იგეგმება მეოთხე სემესტრში. სასურველია სასწავლო გეგმაში გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები;
- სასურველია სასწავლო კურსების პრერეკვიზიტებში მითითებული იყოს მხოლოდ ის სასწავლო კურსი, რომელიც გათვალისწინებულია აღნიშნული პროგრამით და არ არის აუცილებელი ისეთი საგნების მითითება რომელიც ისწავლება სკოლაში.(მაგ. „ქიმია“, „ბიოლოგია“, IT).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრობიოტექნოლოგიის (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრობიოტექნოლოგიის (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

15. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრობიოტექნოლოგიის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამას თან ერთვის სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქცია. სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 30 კრედიტი და იგეგმება მეოთხე სემესტრში. სასურველია სასწავლო გეგმაში გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში გაიწეროს ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი დონე.

თავმჯდომარე დაინტერესდა რა მოიაზრებოდა ინგლისური ენის ფლობის „შესაბამის დონეში“ და მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. ამასთან, თავმჯდომარეს განუმარტა, რომ რეკომენდაციებში საუბარი იყო ინგლისური ენის B-2 დონეზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრობიოტექნოლოგიის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრობიოტექნოლოგიის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუმაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამაში თავისუფალი კრედიტების ხვედრითი წილის გაზრდა.
- მიზანშეწონილია განისაზღვროს ეროვნულ გამოცდებზე (ან მისაღებ გამოცდებზე) ინგლისური ენის გამოცდაში მისაღები ქულის მინიმალური ზღვარი.
- მიზანშეწონილია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დონეზე ხარისხის (ძსე) უზრუნველყოფის სამსახურის ფორმირება ან ამ ფუნქციების ძსე დირექტორისაგან გამიჯვნა.

ექსპერტმა გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ჩარჩოს მიხედვით, სტუდენტს შეულება კრედიტების სისტემა ააგოს შემდეგი სტრუქტურით: 120 + 60 + 60. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კრედიტების ხვედრითი წილი შეადგენს 12 კრედიტს და მიზანშეწონილია გაიზარდოს 60 კრედიტამდე.

თავმჯდომარემ დაინტერესდა, რა უნდა ყოფილიყო ინგლისური ენის გამოცდაში მისაღები ქულის მინიმალური ზღვარი. ექსპერტმა გიორგი ლაღანიძემ განმარტა, რომ - პირველ სემესტრში ზღვარი უნდა შეადგენდეს მაქსიმალური ქულის 70 % - ზე მეტს იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ფარგლებში ინტერსიურად ისწავლება 2 კურსი ინგლისურად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

17. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- თუმცა პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია დეტალურად და შეესაბამება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, სასურველია ისინი გაწერილ იქნას ცალკეული კომპეტენციების სახით (ცოდნა-გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ.);
- ასევე, ცალკეული კურსის სწავლის შედეგები სასურველია გაიწეროს ცალკეულ კომპეტენციებად და შესაბამისად კურსის სილაბუსში ჩაიდოს კომპეტენციების რუქა, რომელიც იქნება ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების რუქის ადექვატური;
- სასურველია სასწავლო გეგმაში ჩაემატოს წინაპირობების მატრიცა, რაც გაამარტივებს კურსების თანმიმდევრული განხორციელების პრინციპს;
- სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების სისტემაში, შუალედურ შეფასებებში გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები, სასურველია დეტალურად გაიწეროს ამ კომპონენტებით შეფასების კრიტერიუმები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, განმარტა, რომ პროგრამას აქვს კომპეტენციების რუქა და ამდენად, რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია. მედიცინაში უმეტესად არის საბაზისო საგნები, რაც შეიძლება სხვადასხვა შუალედური შეფასებებით იყოს გაკონტროლებული. ეს ძირითადად ეხებოდა კლინიკურ დისციპლინებს. აღნიშნა, რომ ე.წ. „ოსკის“ გამოცდას გააკეთებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა აღნიშნულის შესახებ თანხმობა თუ ჰქონდა დაწესებულებას მიღებული სამინისტროდან, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა.

საბჭოს წევრი მადონა ჭიშვილი დაინტერესდა დაწესებულების კლინიკური ბაზებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ერთერთი კლინიკური ბაზა განთავსებულია ქეთევან წამებულის 51 ნომერში, სადაც მიმდინარეობს სწავლება, აგრეთვე, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს - „ოქროს საწმის - XXI საუკუნე“ დიაგნოსტიკურ ცენტრ „ჯანმრთელობის სახლთან“, სს - რუსთავის სამშობიარო სახლთან, კლინიკა „გულთან“, და ა.შ. ასევე, სურვილი აქვთ მოიძიონ და დაამყარონ ურთიერთობა სხვა სამედიცინო დაწესებულებებთან.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

18. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რიგ დისციპლინებში შეფასების კრიტერიუმში არის 40%-იანი კომპონენტი „ჯგუფური პროექტი“, რომლის შეფასების და წარდგენის მექანიზმი უმთავრესად ბუნდოვანია. სასურველია მოხდეს ამ კომპონენტის ცხადი განსაზღვრა.

- უცხოენოვან ლიტერატურაში ჭარბობს რუსულენოვანი. სასურველია ინგლისურენოვან ლიტერატურას დაეთმოს მეტი ადგილი.

საბჭოს წევრები ზაზა ლაზარაშვილი და დავით კიკაღიშვილი დაინტერესდნენ, „ჯგუფური პროექტის“ შემთხვევაში როგორ ხდებოდა ინდივიდუალურად შეფასება. დავით კიკაღიშვილი ასევე დაინტერესდა, რატომ იყო მიუღებელი რუსული ლიტერატურა, მოძველებული იყო იგი თუ პროგრამასთან შეუსაბამო.

ლევან მადათოვმა განმარტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გთვალისწინებული იყო ინგლისური, ამდენად, არ იყო მიზანშეწონილი ამ სილაბუსებში ამ მოცულობით რუსულენოვანი ლიტერატურის მითითება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. ამასთან განმარტა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჯგუფის ყველა წევრისათვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური 5 ქულიანი შეფასება, რაც გაწერილია სილაბუსებში. ამასთან, განმარტა, რომ რეკომენდაციები უკვე გათვალისწინებული იყო, სილაბუსებში გათვალისწინებული რუსულენოვანი ლიტერატურა შეიცვალა ინგლისური ლიტერატურით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადრე ჯგუფს მთლიანად აფასებდნენ ამჟამად შეცვალეს მიდგომა და არის ჩვეულებრივი 5 ქულიანი შეფასება. თან გაწერილია თუ რაში იწერება თითოეული ქულა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული 180 კრედიტიდან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, საიდანაც საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს - სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიური წერა, სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, კვლევის მეთოდები და ხერხები ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, რომელთა არჩევა შესაძლებელია ჯამში 45 კრედიტის საგანთა ნუსხიდან, თუმცა მათ შორის მხოლოდ 5 კრედიტია გამოყოფილი დარგის შესაბამისი სპეციალური დისციპლინებისათვის. ამდენად, არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ დოქტორანტმა საერთოდ არ აირჩიოს დარგის შესაბამისი საგანი, შესაბამისად ვერ იქნეს მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი - „აქვს დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა“, ამდენად სასურველია სპეციალობისთვის გამოყოფილი კრედიტები გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების ნუსხაში.

- დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები არის ძალიან ზოგადი, სასურველია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა კმაყოფილების ხარისხის კვლევას მიეცეს უფრო ღრმა, თვისობრივი და სისტემური ხასიათი.

- სასწავლო კურსში „მეცნიერების მენეჯმენტი“ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა რუსულის ცოდნა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს არ მოეთხოვებათ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. ამასთან გაჟღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები არჩევითი კურსების ჩამონათვალში იყო და არსებობდა მათი სილაბუსიც, თუმცა ეს კურსები არ განხორციელებულა. მისი განმარტებით, პირველ კურსელთა მიღებას დაწესებულება ოქტომბერში გეგმავდა. მათთვის მისაღები იყო რეკომენდაცია და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამსაქმებლები პირველად გამოკითხეს. ამიტომაც გარკვეული ხარვეზები იყო. მისი აღნიშვნით, პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 1 დოქტორანტი ჰყავდათ ამ ეტაპზე, რადგან მხოლოდ ერთელ ჰქონდათ მიღება სამი წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული ჰყავდათ, როგორ უნდა ყოფილიყო დამსაქმებელთა გამოკველვის ხარისხი უფრო ღრმა.

ექსპერტმა ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ ეს გახლდათ ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია. პრობლემა გახლდათ ის, რომ დარგობრივი კომპეტენცია არ იყო გამოკვეთილი და კარგი იქნებოდა, რომ უფრო ღრმა კვლევა ჩეტარებინათ.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, გამოკითხულ იქნა თუ არა ერთი დამსაქმებელი. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ ეს ერთი კურსდამთავრებული ამავე უნივერსიტეტშია დასაქმებული.

თუმცა დამსაქმებელი ამ ეტაპზე არის მარტო ერთი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ნაგულისხმები იყო პოტენციური დამსაქმებლები.

საბჭოს წევრმა ზაზა ლაზარაშვილი დაინტერესდა, რას მოიაზრებდა დისციპლინა „მეცნიერების მენეჯმენტი“. ლელა ქელბაქიანმა განმარტა, რომ მეცნიერების მენეჯმენტი ემსახურებოდა მიზანს, მკვლევარისათვის გამოემუშავებინა გრანტების მოძიების და ა.შ. უნარები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის შედეგის - დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიცემის - უზრუნველსაყოფად სასწავლო კომპონენტში სპეციფიკური დარგობრივი კურს(ებ)ის შემოტანა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, გაჟღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს პროგრამა შეიცავს კონცენტრაციებს, რისი მიზანიც იყო, დოქტორანტს ჰქონოდა შესაძლებლობა თვითონ აერჩია მიმართულება. სავალდებულო კომპონენტებში დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსები და მიზანშეწონილად მიიჩნის ეს სპეციფიკური დარგობრივი კურსი სწორედ ძირითად კომპონენტში შეეტანათ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციას იზიარებდნენ და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები არის ძალიან ზოგადი, სასურველია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა კმაყოფილების ხარისხის კვლევას მიეცეს უფრო ღრმა, თვისობრივი და სისტემური ხასიათი.

- სასწავლო კურსში „მეცნიერების მენეჯმენტი“ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა რუსულის ცოდნა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს არ მოეთხოვებათ.

საბჭოს წევრი, დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ ჯერჯერობით პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას კურსდამთავრებული არ ჰყავდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული 180 კრედიტიდან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, საიდანაც საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს - სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიური წერა, სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, კვლევის მეთოდები და ხერხები ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, რომელთა არჩევა შესაძლებელია ჯამში 60 კრედიტის საგანთა ნუსხიდან, თუმცა მათ შორის მხოლოდ 10 კრედიტია გამოყოფილი დარგის შესაბამისი სპეციალური დისციპლინებისათვის. ამდენად არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ დოქტორანტმა საერთოდ არ აირჩიოს დარგის შესაბამისი საგანი, შესაბამისად ვერ იქნეს მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი - „აქვს დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა“, ამდენად სასურველია სპეციალობისთვის გამოყოფილი კრედიტები გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების ნუსხაში.

- დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები არის ძალიან ზოგადი, სასურველია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა კმაყოფილების ხარისხის კვლევას მიეცეს უფრო ღრმა, თვისობრივი და სისტემური ხასიათი;

- პროგრამაზე მიღების წინაპირობა საშუალებას აძლევს ნებისმიერი სპეციალობის პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ჩაირიცხოს პროგრამაზე, ასეთ შემთხვევაში კანდიდატის საწყისი ცოდნის დონის შემოწმების ერთადერთი საშუალება სპეციალობაში მისაღები გამოცდაა, ამდენად სასურველია მისაღები გამოცდის საკითხების ჩამონათვალი იყოს უფრო სრული და სიღრმისეული;

- პროგრამით გათვალისწინებული საგნების სილაბუსებში დაშვების წინაპირობები გაწერილი არაა. სწავლების თანამედროვე მეთოდების პარალელურად პირველი სემესტრში სასწავლო გეგმით გაწერილია პროფესორის ასისტენტობა, რაც სათანადო თეორიული მომზადების გარეშე დოქტორანტისათვის რთული შესასრულებელი იქნება, ამდენად სასურველია აღნიშნულ კომპონენტებს შორის ერთი სემესტრის წანაცვლება;

- სასწავლო კურსში „მეცნიერების მენეჯმენტი“ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა რუსულის ცოდნა პროგრამაზე ჩაირიცხულ სტუდენტებს არ მოეთხოვებათ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, თუ დისციპლინაში კვლევის მეთოდები შემავალი ბლოკი ფილოლოგია შეივსებოდა ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით და ზემოხსენებული დარგობრივი მეთოდოლოგიური ნაწილი ერთიანად მნიშვნელოვანი იქნებოდა ორივე ფილოლოგიური მოდულისათვის;

- გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი იყო მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამა და სასწავლო პროგრამების ეს საფეხური გულისხმობს არჩევითი კომპონენტის ინდივიდუალურ დაგეგმვას, პროგრამის კომპონენტთა შორის უნდა ფიქსირდებოდეს პრაქტიკის სილაბუსი, რაც ამ ეტაპზე არ ფიქსირდება (ის მნიშვნელოვანია ფოლკლორისტიკის ქვემომართულებისათვის, ვინაიდან ამ დარგის დოქტორანტებს კვლევითი ნაწილის შესრულებისათვის ევალებათ სავსე პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საკვლევო კორპუსის შეგროვებას). სასურველია, პროგრამამ სრული ფორმატის შექმნისათვის წარმოადგინოს ზემოხსენებული სილაბუსი, რათა პროგრამის მონაწილეებს სრულყოფილი წარმოდგენა ქონდეთ პროგრამის, როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკის ფორმატზე.

- პროგრამის ფარგლებში დასახელებული დასაქმების სფეროების ჩამონათვალი ფართოა და ზოგადი, რაც შეიძლება მისაღები იყო კონკრეტულ სფეროებთან (მედიები, გამომცემლობა) დაკავშირებით პირველ და მეორე საფეხურის პროგრამის ფარგლებშიც. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია დაზუსტდეს მესამე საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულთათვის დასაქმების სფეროში კონკრეტული პოზიცია, რომელიც შეესაბამებოდა პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციას.

- ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია კონკრეტულად მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდეს და დაიხვეწოს დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით კვლევაში ჩართულობისა და მასში მონაწილეობის მექანიზმი, რომელიც კონკრეტულად გაითვალისწინებს პროგრამის მიზნობრიობას, საბოლოო კვალიფიკაციასა და სწავლის შედეგებს;

- სასურველია, რომ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა, რომელთა ძირითადი დარგობრივი მიმართულება და შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის რომელიმე ევროპული ენა პროგრამაზე დაშვებამდე წარმოადგინონ ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (C¹ -მინიმალური ზღვარი) იმ ინსტიტუციიდან, რომელსაც უფლებამოსილება აქვს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების საფუძველზე გასცეს წინამდებარე ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მეტი გამჭვირვალებისათვის ასევე განიმარტოს გამოცდის ფორმატი და ტიპი სპეციალობაში.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დეტალურად უნდა განიმარტოს იმ პირთა მიღების პირობა, რომელთაც უცხოურ ენებში აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაცემული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ინსტიტუციიდან.

- სასურველია გასწორდეს სემესტრული გადანაწილება სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტებისათვის სემინარი და კოლოკვიუმი, რომელთა გაწერა მოხდა ერთდროულად მესამე სემესტრში, რაც გულისხმობს ერთსა და იმავე სემესტრში ორი სხვადასხვა თემატიკის მქონე საკმაოდ მოცულობით ტექსტის სახეობაზე მუშაობს, რაც დაკავშირებულია მასალის შეჯერების, საკვლევო კორპუსის დამუშავებისა და ტექსტის პროდუცირების სირთულესთან და ამავდროულად ორ თვისობრივად განსხვავებული თემატიკის სფეროში.

- დოქტორანტთა სამეცნიერო აქტივობის გაზრდის მიზნით, სასურველია, დაიგეგმოს მიმართულების ფარგლებში ერთიანი სამეცნიერო პროექტები, რომელშიც აკადემიურ პერსონალთან ერთად

მონაწილებას მიიღებენ მესამე და მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამის სტუდენტები, რათა მათ პრაქტიკულად განვიითარონ სამეცნიერო კვლევის ტექნიკები;

- მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით, თუ პროგრამა მკაცრად არ განსაზღვრავდა მობილობის ფარგლებში უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიერ დაგროვებული კრედიტების საზღვრებს და ამ უკანასკნელთ საშალება მიეცემოდათ შეძლებისდაგვარად მეტი მათთვის სასურველი სასწავლო კურსები მოესმინათ და გასცნობოდნენ თანამედროვე კვლევების სიახლეებს უცხოეთში დაგეგმილი სასწავლო და კვლევითი მივლინებების დროს;

- სასურველია, აგრეთვე გაფართოვდეს სასწავლო კურსების ბიბლიოგრაფია და სტუდენტებს მიეცეთ საშალება გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მიღწევებს დარგში, შესაბამისად უნდა გაფართოვდეს უცხოურ ენაზე მიწოდებული კრიტიკული ლიტერატურის სპექტრი (თუნდაც ქართველოლოგიურ დარგებში: სტუდენტი უნდა იცნობდეს უახლეს კვლევებსა და მეთოდოლოგიას, აგრეთვე უცხოური ქართველოლოგიის მიღწევებს ამ ეტაპზე);

- მნიშვნელოვანია გაფართოვდეს საქმიანი, აკადემიური და სამეცნიერო კონტაქტები უცხოეთის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო კერებთან.

- სასურველია, უმაღლესი სასწავლებელი ზრუნავდეს ასევე სხვა დეპარტამენტში შემავალი უცხოური ენების შესწავლის მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე საქართველოში მოქმედი აკადემიური და სამეცნიერო ფონდების, დიპლომატიური კორპუსების (საელჩოები), უცხოური ფონდებისა და ინსტიტუციების მხარდაჭერით (DAAD, AUF, ÖAAD, PAD, KAAD, ალ.დიუმას ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი);

- სასურველია სასწავლო მასალა ცალკეულ კომპონენტში (თუნდაც ქართველოლოგიურ დარგებში) შეივსოს უახლესი საერთაშორისო კვლევების მასალით, საბიბლიოთეკო ფონდი გამდიდრდეს უახლესი კრიტიკული ლიტერატურით, რაც სავსებით მიღწევადია უცხოური დონორი ფონდების (DAAD, AUF, ÖAAD, PAD, KAAD, DFG, ალ.დიუმას ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი), პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ონლაინ კატალოგების მეშვეობით;

- მნიშვნელოვანია სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესების მიზნით შემოშავებული კითხვარები გაიწეროს მიზანმიმართულად უმაღლესი განათლების შესაფერისი საფეხურის (ამ შემთხვევაში - მესამე საფეხურის) სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი შედეგებზე ორიენტაციით, რათა ის არ დაემსგავსოს ზოგად და ზედაპირულ, სავალდებულო პროცედურას, საიდანაც მიღებული ანალიზის შედეგების მიხედვით პრაქტიკულად გაჭირდება სწავლისა და სწავლების ხარისხის კონტროლი და გაუმჯობესება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაქსიმალურად ასახა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლო პოზიცია, მაგრამ მათი განმარტებით, ისინი ძირითადად კადრებს ამზადებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ძირითადი დამსაქმებელი არის უნივერსიტეტი. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის სამსახურმა უკვე შეიმუშავა შესაბამისი კითხვარები.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ საკითხი დადგებოდა აკადემიური საბჭოს სხდომაზეც, რადგან რთული ბარიერი იქნება ამგვარი ზღვრის დაწესება ამჟამინდელი დოქტორანტებისთვის, თუმცა აუცილებლად გაიზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წუწუმიამ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ზღვრის აწევა, რადგან მინიმალური C1 ზღვარის დაწესებით, ხდებოდა ბარიერის დაწევა ლიტერატურათმცოდნეებისთვის. დოქტორანტებისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა ბარიერის აწევა, ის, რომ დაშვების წინაპირობა ყოფილიყო ენის მაღალი დონე, ამ გზით, შესაძლებელი იქნებოდა ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების

კონკურენტუნარიანი კადრების გამოშვება. შესაძლოა, ნაკლებს გადაელახა აღნიშნული ბარიერი, თუმცა, ეს აუცილებლად გამოიწვევდა ხარისხის გაზრდას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეექვსეზე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საერთაშორისო პროექტებში დოქტორანტები ისედაც მონაწილეობდნენ .

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ეხებოდა კრედიტების აღიარებას და ეს პრობლემა მოხსენს 15 კრედიტის მინიჭებით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ პროგრამებისთვის. პროგრამას თანდართული ჰქონდა უცხოელ მოწვეულ პერსონალთან დადებული ხელშეკრულება და ამჟამად 3 დოქტორანტს ჰყავდა გერმანელი პროფესორი. მისი განმარტებით, ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე ზრუნავდა დაწესებულება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის რსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესში პროფესორის ასისტენტობისათვის გაცემული კრედიტები (15 კრედიტი) არ უნდა იყოს ყველა პროგრამისათვის სტანდარტული. სასურველია უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს პროფესორის ასისტენტობის კრედიტების ზედა და ქვედა ზღვარი, რომელიც შეუწყვილდება პროგრამის სპეციალური დისციპლინებისათვის გაცემულ კრედიტებს. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებს საშუალება ჰქონდეს, პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, თავად მიიღონ გადაწყვეტილება ამ კომპონენტებისათვის საჭირო კრედიტის მინიჭების შესახებ.

- რსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესში ვკითხულობთ: „პრაქტიკა – სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დოქტორანტმა გარკვეული დრო პრაქტიკას დაუთმოს. მაგალითად, სავსე პრაქტიკა, პრაქტიკა სკოლაში, საწარმოში და სხვ. თუ სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, მაშინ წინასწარ უნდა იქნას წარმოდგენილი პრაქტიკის გეგმა (სილაბუსი), რომელიც პროგრამასთან ერთად დამტკიცდება, ხოლო დოქტორანტის მიერ გავლილი პრაქტიკის შეფასება მოხდება პრაქტიკის ანგარიშის ფორმით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების მიღწევისათვის პრაქტიკა აუცილებელია, უმჯობესი იქნება მას მიენიჭოს სავალდებულო დისციპლინის სტატუსი.

- პროგრამის შედეგის ერთ-ერთ დარგობრივ კომპეტენციას წარმოადგენს აგრარულ დარგში სამეცნიერო ამოცანის ჩამოყალიბების და ექსპერიმენტის დაგეგმვის თანამედროვე მათემატიკური და კომპიუტერული მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება. შესაბამისად, სასურველია ამ კომპეტენციის მისაღწევი სასწავლო კურსის გაძლიერება.

- პროგრამაში სპეციალური დისციპლინები (არჩევითი სტატუსით) წარმოდგენილია 20 კრედიტის ფარგლებში. აქ წარმოდგენილია სამი დისციპლინა: აგროცენოზების ეკოლოგია (10 კრედიტი), მცენარეთა მავნე ორგანიზმები (5 კრედიტი), მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლა (5 კრედიტი). პარალელურად, არჩევითი კურსების ნუსხაში ასევე შეტანილია ექვსი 5 კრედიტიანი საგანი. შესაბამისად, თეორიულად არსებობს ისეთი შემთხვევა, როცა დოქტორანტმა შეიძლება არ აირჩიოს სპეციალური დისციპლინები. ამიტომ სასურველია, სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს სპეციალური არჩევითი დისციპლინებისათვის და ზოგადი არჩევითი დისციპლინებისათვის მინიჭებული კრედიტები.

- პროგრამის აქტუალობიდან და მრავალმხრივობიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამის სპეციალური დისციპლინების სპექტრის გაზრდა, სადაც ასახვას ჰპოვებს აგროეკოლოგიასა და მცენარეთა დაცვაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების უმრავლესობა; ასევე ასეთი სპეციალური დისციპლინების სწავლებაში მაქსიმალურად იქნას გამოყენებული თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, გაუღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გააკეთა განმარტებები. კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება პროგრამის ხელმძღვანელებს დოქტორანტურის დებულების მიხედვით ცალსახად ჰქონდათ მინიჭებული. ასევე, მისი თქმით, პრაქტიკა არჩევითის ნაცვლად გახდა ძირითადი საგანი. მესამე

რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გამოყოფილი 30 საათიდან დაახლოებით ათი საათი ეთმობა კომპეტენციის მისაღწევ სასწავლო კურსებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, თუ დისციპლინაში კვლევის მეთოდები შემავალ ბლოკში ფილოლოგია დარჩებოდა ლინგვისტიკის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები (მათ შორის არსებითად მიგვაჩნია ლინგვისტური ჰერმენევტიკის მოხსენიებაც), ხოლო დარჩენილი საკონტაქტო-სალექციო საათები შეივსებოდა ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდებით, ვინაიდან თანამედროვე ფილოლოგიური კვლევებით, მითუმეტეს თუ ის ინტერდისციპლინურ რაკურსში მოიაზრება პრაქტიკულად ფილოლოგიურ სწავლებისას შლის მკვეთრ ზღვრებს ამ ორ ქვედისციპლინას შორის;

- პროგრამის ფარგლებში დასახელებული დასაქმების სფეროების ჩამონათვალი ფართოა და ზოგადი, რაც შეიძლება მისაღები იყო კონკრეტულ სფეროებთან (მაგ., მასმედიის დაწესებულებებში) დაკავშირებით პირველ და მეორე საფეხურის პროგრამის ფარგლებშიც. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია დაზუსტდეს მესამე საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულთათვის დასაქმების სფეროში კონკრეტული პოზიცია, რომელიც შეესაბამებოდა პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციას;

- ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია, კონკრეტულად მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდეს და დაიხვეწოს დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით კვლევაში ჩართულობისა და მასში მონაწილეობის მექანიზმი, რომელიც კონკრეტულად გაითვალისწინებს პროგრამის მიზნობრიობას, საბოლოო კვალიფიკაციასა და სწავლის შედეგებს;

- სასურველია, რომ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა, რომელთა ძირითადი დარგობრივი მიმართულება და შესაბამისად, პირველი უცხოური ენა არის რომელიმე ევროპული ენა, პროგრამაზე დაშვებამდე წარმოადგინონ ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (C¹ -მინიმალური ზღვარი) იმ ინსტიტუციიდან, რომელსაც უფლებამოსილება აქვს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების საფუძველზე გასცეს წინამდებარე ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მეტი გამჭვირვალობისათვის ასევე განიმარტოს გამოცდის ფორმატი და ტიპი სპეციალობაში.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში სასურველია დეტალურად განიმარტოს იმ პირთა მიღების პირობა, რომელთაც უცხოურ ენებში აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი გაცემული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ინსტიტუციიდან;

- სასურველია, გასწორდეს სემესტრული გადანაწილება სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტებისათვის სემინარი და კოლოქვიუმი, რომელთა გაწერა მოხდა ერთდროულად მესამე სემესტრში, რაც გულისხმობს ერთსა და იმავე სემესტრში ორი სხვადასხვა თემატიკის მქონე საკმაოდ მოცულობით ტექსტის სახეობაზე მუშაობს, რაც დაკავშირებულია მასალის შეჯერების, საკვლევი კორპუსის დამუშავებისა და ტექსტის პროდუცირების სირთულესთან და ამავდროულად ორ თვისობრივად განსხვავებული თემატიკის სფეროში.

- მნიშვნელოვანია, ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით, თუ პროგრამა მკაცრად არ განსაზღვრავდა მობილობის ფარგლებში უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიერ დაგროვებული კრედიტების საზღვრებს და ამ უკანასკნელთ საშუალება მიეცემოდათ შეძლებისდაგვარად მეტი მათთვის სასურველი სასწავლო კურსები მოესმინათ უცხოეთში დაგეგმილი სასწავლო და კვლევითი მივლინებების დროს

- სასურველია აგრეთვე გაფართოვდეს სასწავლო კურსების ბიბლიოგრაფია და სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მიღწევებს დარგში, შესაბამისად უნდა გაფართოვდეს უცხოურ ენაზე მიწოდებული კრიტიკული ლიტერატურის სპექტრი (თუნდაც ქართველოლოგიურ დარგებში: სტუდენტი უნდა იცნობდეს უახლეს კვლევებსა და მეთოდოლოგიას, აგრეთვე უცხოური ქართველოლოგიის მიღწევებს ამ ეტაპზე)

- სასურველია გაფართოვდეს საქმიანი, აკადემიური და სამეცნიერო კონტაქტები უცხოეთის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო კერებთან.

- სასურველია, უმაღლესი სასწავლებელი ზრუნავდეს ასევე სხვა დეპარტამენტში შემავალი უცხოური ენების შესწავლის მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე საქართველოში მოქმედი აკადემიური და სამეცნიერო ფონდების, დიპლომატიური კორპუსების (საელოჩოები), უცხოური ფონდებისა და ინსტიტუციების მხარდაჭერით (DAAD, AUF, ÖAAD, PAD, KAAD, ალ.დიუმას ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი);

- მნიშვნელოვანია, სასწავლო მასალა ცალკეულ კომპონენტში (თუნდაც ქართველოლოგიურ დარგებში) შეივსოს უახლესი საერთაშორისო კვლევების მასალით. ასევე მნიშვნია ექსპერტთა ჯგუფს ფონდის გამდიდრება უახლესი კრიტიკული ლიტერატურით, რაც სავსებით მიღწევადია უცხოური დონორი ფონდების (DAAD, AUF, ÖAAD, PAD, KAAD, DFG, ალ.დიუმას ცენტრი, გოეთეს ინსტიტუტი), პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ონლაინ კატალოგების მეშვეობით;

- მნიშვნელოვანია სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესების მიზნით შემოშავებული კითხვარები გაიწეროს მიზანმიმართულად უმაღლესი განათლების შესაფერისი (ამ შემთხვევაში - მესამე საფეხურის!) საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი შედეგებზე ორიენტაციით, რათა ის არ დაემსგავსოს ზოგად და ზედაპირულ, სავალდებულო პროცედურას, საიდანაც მიღებული ანალიზის შედეგების მიხედვით პრაქტიკულად გაჭირდება სწავლისა და სწავლების ხარისხის კონტროლი და გაუმჯობესება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მისი განმარტებით, უკვე მიმდინარეობდა მუშაობა მათ გასათვალისწინებლად.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომეტრია-ტოპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- პროგრამაში შემავალი კომპონენტები თანმიმდევრულადაა გაწერილი და ხელს უწყობს დოქტორანტის კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებას. თუმცა არის რიგი კომპონენტების მოცულობა (მაგ. პროფესორის ასისტენტობისათვის გაცემული კრედიტები), რომელთა შემცირება სასურველი იქნებოდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომეტრია-ტოპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომეტრია-ტოპოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- უნდა შესწორდეს ხარვეზი: სადოქტორო პროგრამა „არქეოლოგიის“ თვითშეფასების ანგარიშში ინგლისურ ენაზე მითითებულია მისანიჭებელი ხარისხი – **Doctor of Archaeology**, ხოლო პროგრამაში კი - **PhD in Archaeology**.

- პროგრამაში მითითებულია, რომ სავალდებულოა არქეოლოგიური პრაქტიკის გავლა, თუმცა სილაბუსში მას არჩევითი კურსის სტატუსი აქვს მინიჭებული.

- სასურველია, სასწავლო კურსებში მეტად იყოს გათვალისწინებული თანამედროვე დასავლური კვლევის შედეგები.

- პროგრამას უნდა დაემატოს მისაღები გამოცდებისათვის სათანადო ლიტერატურის ნუსხა. თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტექნიკური ხასიათის შეცდომა იქნა დაწესებულების მიერ დაშვებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- ექსპერტთა აზრით, უმჯობესია სწავლის შედეგებში დარგობრივი კომპეტენციების აღწერისას ზმნების მომავალ დროში ხმარება, მაგალითად, "ექნება" - "აქვს"-ია მაგივრად, "შეეძლება" - "შეუძლია"-ს მაგივრად და ა.შ., რადგან ამ უნარებს კურსდამთავრებული შეიძენს საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, გაჟღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხერვეზი ტრეენიკური ხასიათის იყო და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

30. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა აზრით უმჯობესია სწავლის შედეგებში დარგობრივი კომპეტენციების აღწერისას ზმნების მომავალ დროში ხმარება, მაგალითად, "ექნება" - "აქვს"-ია მაგივრად, "შეეძლება" - "შეუძლია"-ს მაგივრად და ა.შ., რადგან ამ უნარებს კურსდამთავრებული შეიძენს საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ;

- პროგრამაში მითითებული არ არის სწავლების ენა;

- აკადემიური ხარისხის თარგმანი საჭირო არ არის, ხოლო მისი თარგმნა PhD-ით შეცდომაა, რადგან საქართველოს დოქტორის აკადემიური ხარისხი ზოგიერთი ქვეყნის PhD არ ეთანაბრება (მაგალითად, აშშ-ს ბევრ უნივერსიტეტში PhD-ს მიღება არ მოითხოვს სტატიების გამოქვეყნებას, ამიტომ იგი ჩვენს დოქტორზე ნაკლებია);

- სრულიად ზედმეტია პროგრამის აქტუალობის დამტკიცებისას ბიბლიოგრაფიის მოყვანა 48 წყაროს მითითებით;

- სასწავლო გეგმაში შეტანილია 5-კრედიტიანი არჩევითი კურსები: "საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი" და „უცხოეთის აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი“, თუმცა გაუგებარია რატომ უნდა შეიზღუდოს სხვა უნივერსიტეტებში მოსმენილი სასწავლო კურსების აღიარება მხოლოდ 5 კრედიტით;

გაუგებარია სად უნდა ჩაირთოს სასწავლო გეგმაში "სპეციალობის არჩევითი კურსები" 20 კრედიტის ოდენობით, რადგან პროგრამაში მოყვანილი დანარჩენი საგნები უკვე 180 კრედიტს ადგენენ;

- თავისი შინაარსიდან გამომდინარე პროგრამისთვის უფრო შესაფერისი სახელწოდება იქნება „რადიოფიზიკა“ და არა „ფიზიკა“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, გაჟღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლების ენასთან დაკავშირებული ხარვეზი ტექნიკური ხასიათისაა და გაითვალისწინებენ, ხოლო მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იყო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც ითვალისწინებდა მსგავს მითითებას დოქტორის ხარისხთან მიმართებით და დაწესებულებაც ამას ითვალისწინებდა. სადოქტორო პროგრამა 20 კრედიტის მოცულობით ითვალისწინებდა არჩევით კურსებს. არჩევითი კურსების ქვეშ შევა სხვა უმაღლეს დაწესებულებებში გავლილი კურსებიც

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21 საათსა და 30 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 21 საათსა და 40 წთ-ზე.

31. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს ფორმირებული ისე, როგორც ჩაიწერება ბაკალავრის დიპლომში (ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სპეციალობით) ან (ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიებში) და არა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სპეციალობით .
 - სასურველია სასწავლო გეგმას დაემატოს კურსი „კომპიუტერული ტექნოლოგიები“;
 - სასურველია თავისუფალი კრედიტების მოდულში გაფართოვდეს არჩევითი საგნების არეალი;
 - სასწავლო გეგმაში არ ჩანს საათების განაწილება კურსის ლექციების, პრაქტიკულების, ლაბორატორიულების და ა.შ. მიხედვით;
 - იმ საბაკალავრო პროგრამაში, სადაც ისწავლება „საავიაციო ძრავები“ მიზანშეწონილია, რომ ცალკე საგნად ისწავლებოდეს „თერმოდინამიკა“ , ან მისი ფუნდამენტალური საკითხები განიხილებოდეს „საავიაციო ძრავების“ კურსის დასაწყისში;
 - სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩანდეს სწავლის ფორმები და მეთოდები;
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, გაჟღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, დიპლომის ფორმებში მითითებულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და თუმცა აღნიშნეს, რომ შეუძლიათ მიუთითონ სპეციალობა. ასევე განაცხადა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მთელი კურსი აქვთ ჩადებული - ავტომატიზირებული დაპროგრამების კურსი „კატია“, თუმცა ეს რეკომენდაცია მისაღებია და გავითვალსიწინებთო.
- ხოლო საინჟინროს სპეციფიკა იამში მდგომარეობს, რომ მიღების რა კურსებიც არის აუცილენლია სპეცუალობის შესწავლისათვის. ამასთან აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს სამი მოდული, რის შეცვლასაც მოგვიანებით გეგმავენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში ასახული იყო საავიაციო ძრავების, თეროდინამიკისა და თბოგადაცემის საკითხები, რადგან ძრავების შესწავლის ძირითად საკითხს წარმოადგეს ეს ასპექტები.

აღნიშნა, რომ პროგრამაში იყოს სწავლების ფორმები და ამ ეტაპზე დაამატეს სწავლების მეთოდებიც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

32. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავიაციისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- არჩევითი დისციპლინების რაოდენობა მწირია (მხოლოდ 4 საგანია შეთავაზებული, რომლებიდან უნდა აირჩიონ ორი). სასურველი იქნებოდა არჩევითი დისციპლინების რაოდენობის გაზრდა;

- მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამაში ტურიზმის სპეციალობის საგნების გაზრდა ავიაციის სფეროდან საგნების ხარჯზე, რადგან მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში. პროგრამაში აუცილებელია ისეთი საგნების შეტანა როგორცაა ტურიზმის მარკეტინგი, კურორტის მენეჯმენტი, დაგეგმვა ტურიზმში, მდგრადი ტურიზმი და ა.შ.

ექსპერტმა ნიკოლოზ კვარაცხელიამ გააკეთა განმარტება, რომ სავალდებულო საგნები პროგრამაში სათანადო რაოდენობით არის წარმოდგენილი, ხოლო არჩევითი საგნები მწირია.

საბჭოს წევრი მიხეილ კორძახია დაინტერესდა, რეკომენდაციაში ხსენებული საგნები იყო თუ არა გათვალისწინებული სასწავლო კურსში. ექსპერტმა ნიკოლოზ კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ მარკეტინგი არის გათვალისწინებული, თუმცა ტურიზმის მენეჯმენტი და დაგეგმვა ტურიზმში არა იყო მითითებული.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, გაუღერებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აუცილებლად დაამატებდნენ ტურიზმის მარკეტინგს და მენეჯმენტს. არჩევითი საგნების რაოდენობას რაც შეეხება, ეს საუნივერსიტეტო მოდულში შედიოდა და არჩევით საგნებს გაზრდიდნენ მომავალში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს ასევე მოახსენა, რომ იანვარში გადაეცათ თელავის აეროპორტი, და აწარმოებდნენ სამუშაოებს, რათა მოეხდინათ მისი რეკონსტრუქცია და ამ აეროპორტის საშუალებით ტურსიტული მიმართულება განეხილათ.

საბჭოს წევრმა მადონა ჭიშვილი დაინტერესდა რამდენად მოთხოვნადი იყო ეს პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა, რომ პროგრამაზე მოთხოვნა დიდი იყო.

საბჭოს წევრმა დავით კიკაღიშვილი დაინტერესდა, პროგრამის ფარგლებში ბიზნესის ადმინისტრირების ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში, თუ აქცენტირებული იყო საავიაციო ტურიზმის მიმართულება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამა ამზადებდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში, ამდენად, თუ სტუდენტი არ გაივილიდა კურსს - დაგეგმვა ტურიზმში და მენეჯმენტი, შედეგზე გასვლა და ტურიზმის სპეციალისტის მომზადება მაინც იყო შესაძლებელი.

დავით კიკაღიშვილმა იკითხა კურსდამთავრებული რომელიც მიიღებდა დიპლომს, ჩვეულებრივ ტურისტულ საგენტოში შეძლებდა თუ არა მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თუმცა ხსენებული საგნები პირდაპირ არ არის მითითებული სასწავლო კურსში, მაგრამ სხვა საგნები, რომლებსაც უნივერსიტეტი ასწავლის თავისთავად მოიაზრებს ამ საგნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, მისაღები იყო თუ არა მათთვის რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ალავიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტა რა კავშირში იყო ერთმანეთთან ავიაცია და ტურიზმი. გადაადგილების საშუალებას რატომ განიხილავდნენ ტურიზმთან კავშირში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ტურიზმი შეიძლება დაიგეგმოს იმ კუთხით რომ მოხდეს ქვეყნის დათვალიერება ზემოდან, თვითმფრინავის მეშვეობით თუ სახმელეთო ტრანსპორტით. მათ შორის უპირატესობის გნასაზღვრა ტურიზმის მენეჯერს უნდა შეეძლოს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კრედიტების ტურიზმის მიმართულებით აღემატებოდა კრედიტებს ავიაციის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავიაციის საკითხებს ეთმობა ძირითადი საგნებიდან სულ 15 კრედიტი, ხოლო დანარჩენი ნაწილი სპეციალობის საგნებზე მოდის, ანუ 120 კრედიტი მოიცავდა ტურიზმის ფუნდამენტალურ საგნებს.

ექსპერტის, ნიკოლოზ კვარაცხელიას განმარტებით, ტურიზმი ვიწრო სპეციალობას აძლევს მაგისტრატურაში და მსგვსი დავიწროვება ბაკალავრიატში არ არის მიზანშეწონილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ნიკოლოზ კვარაცხელიას მიუხედავად ამ პროგრამის ანალოგის არარსებობისა საქართველოში, ამ მდგომარეობის გათვალისწინებით პროგრამას შეეძლო თუ არა შედეგზე გასვლა. ექსპერტის განმარტებით, პროგრამას შეეძლო შედეგზე გასვლა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავიაციისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავიაციისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

33. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აეროპორტებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მშენებლობის სპეციალობით“ შეიცვალოს და ფორმულირდეს შემდეგნაირად: „ ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში“ ან „ ინჟინერიის ბაკალავრი“;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩანდეს სწავლის ფორმები და მეთოდები;
- სასურველია სასწავლო გეგმაში ჩანდეს სასწავლო კურსების საათების განაწილება ლექციის, ლაბორატორიის, სემინარის , პრაქტიკულის, საკურსო სამუშაოს და ა.შ. მიხედვით;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს სწავლის შედეგებში მითითებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მაგალითად ჩანაწერი - „ბაკალავრმა უნდა შეძლოს მშენებლობის წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა“ ფორმულირდეს შემდეგნაირად „ბაკალავრმა უნდა შეძლოს მშენებლობის წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების წარმართვაში მონაწილეობის მიღება“ და ა.შ.;
- მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის მიზანში მითითებული ჩანაწერი „მოამზადოს საინჟინრო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც შეძლებს საავტომობილო გზებისა, აეროდრომების, აეროპორტებისა და საავიაციო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების დასაბუთებულად და საიმედოდ გადაჭრას“ ;
- სასურველია სასწავლო კურსი „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ ისწავლებოდეს როგორც არჩევითი კომპონენტი;
- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსი „სამშენებლო მექანიკა“ ისწავლებოდეს მე-4 სემესტრში;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროგრამის მატრიცასთან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აეროპორტებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აეროპორტებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

34. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები:

- პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „სასწავლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის ტურიზმის სფეროში თეორიული და სპეციალური ცოდნის მიცემა. ტურიზმის დარგის კვალიფიკაციური ტუროპერატორის მომზადება, რომელიც შეძლებს მომსახურებაზე დაშვებულს“. ეს განმარტება ლაკონურია, მაგრამ გამორჩენილია მთავარი მიზანი - მოამზადონ ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი, რისთვისაც უურსდამთავრებულს ენიჭება ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი. მიზნის არასრულყოფილად ფორმულირება თავს იჩენს შემდეგში მის განსახორციელებლად დაგეგმილ აქტივობებში.

- პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, სადაც 30 კრედიტი განკუთვნილია სასწავლო კომპონენტებისათვის, ხოლო 30 კრედიტი საწარმოო პრაქტიკის კომპონენტებისათვის. არ არის საერთოდ გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა, რომელიც სტანდარტითაა გათვალისწინებული. *პროგრამა ითვალისწინებს ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტს* მომზადებას. მაგრამ არ ისწავლება საგანი - „დაჯავშნის სისტემები და ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომლის გარეშე შეუძლებელია სპეციალობის დაუფლება. პროგრამაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას ზემოაღნიშნული დისციპლინის სწავლება და სასწავლო პრაქტიკა. არსებული სახით პროგრამა ვერ უზრუნველყოფს მესამე საფეხურის ტუროპერატორის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- სტანდარტი მესამე საფეხურისთვის ითვალისწინებს ცოდნას შენდეგ დფეროებში: ტურიზმი; მომსახურება; საქართველოს კანონმდებლობა და პროფესიული ეთიკა; გარემოს დაცვა და ეკოლოგია; უსაფრთხოება; მეწარმეობის საფუძვლები და ბილეთების დაჯავშნა-გაყიდვის პროგრამები.

- პროგრამით კი გათვალისწინებულია შემდეგი დისციპლინების შესწავლა: უცხო ენა; საქართველოს გეოგრაფია; ტურისტული სერვისის საფუძვლები; ტურისტული მასპინძლობის მენეჯმენტი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. აღნიშნული 5 საგნიდან ორი - საქართველოს გეოგრაფია და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა სტანდარტით არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან ეს ცოდნა მესამე საფეხურის ტუროპერატორს არ მოეთხოვება. დასკვნა: პროგრამა უნდა შედგეს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერის შესაბამისად. არსებული სახით პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს მესამე საფეხურის ტუროპერატორის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული: „მესამე საფეხურის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ ტურისტულ მომსახურებას საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების გაცნობის მიზნით, შესრულებული სამუშაოს გაანალიზებას მისი გაუმჯობესების მიზნით, და შემდგომი სწავლის პროცესის გაგრძელების დაგეგმვას ცოდნის გაღრმავების მიზნით“. ასეთი ვრცელი ჩანაწერის ციტირება საჭიროდ ჩავთვალეთ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ყოფილიყო ხასგასმული იმ განსხვავებებზე რასაც ითხოვს სტანდარტი და თავაზობს საავიაციო უნივერსიტეტი. სტანდარტი არ ითხოვს მესამე საფეხურის ტუროპერატორისაგან საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების ცოდნას. ამდენად ამ კონკრეტულ პუნქტშიც თავს იჩენს შეუსაბამობა სტანდარტის მოთხოვნებსა და შეთავაზებულ პროგრამას შორის.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა კითხა ექსპერტ ნიკოლოზ კვარაცხელიას აღნიშნული შენიშვნების ფონზე რამდენად შეიძლებოდა პროგრამა შედეგზე გასულიყო. ექსპერტმა განაცხადა, რომ ყველა საგანი იყო პროგრამაში თუმცა ქრონოლოგიურად არ იყო დალაგებული და პროგრამა არ იყო სტანდარტის შესაბამისად აწყობილი. საფეხურების მიხედვით არ მომხდარა პროგრამის შემუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა

განაცხადა, რომ ეს პროგრამა უკვე შენიშვნების შესაბამისად იქნა ჩასწორებული და სტანდარტის შესაბამისობაში იქნა მოყვანილი რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. დაწესებულების წარმომადგენელი სტანდარტს არ ეთანხმება და მიაჩნია რომ პრინციპულად შეუძლებელია მისი მიხედვით კვალიფიციური კადრის მომზადება. იქ ჩამოთვლილი საგნების განსაზღვრული კრედიტის ფარგლებში შეთავაზება წარმოუდგენელია. საათების თვალსაზრისით ვერ მოხდება მისი ათვისება. შესაბამისად დაწესებულებამ ამ ჩამონათვალიდან აირჩია ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები და გაწერა კრედიტების ფარგლებში.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ჩასწორებული ვერსია სხდომაზე ვერ იქნებოდა გათვალისწინებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

35. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ტურპაკეტის შექმნა, სერვისის მომწოდებლის შერჩევა და მომწოდებლებთან ურთიერთობის დამყარება. სატრანსპორტო საშუალებების დაჯავშნა და რეალიზაცია...“. ეს განმარტება ლაკონურია, მაგრამ გამორჩენილია მთავარი მიზანი - მოამზადონ ტურისტული მომსახურების გაყიდვის სპეციალისტი, რისთვისაც კურსდამთავრებულს ენიჭება ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - ტურისტული პროდუქტის გაყიდვის სპეციალისტი. მიზნის არასრულყოფილად ფორმულირება თავს იჩენს შემდეგში მის განსახორციელებლად დაგეგმილ აქტივობებში.

- პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, სადაც 30 კრედიტი განკუთვნილია სასწავლო კომპონენტებისათვის, ხოლო 30 კრედიტი საწარმოო პრაქტიკის კომპონენტებისათვის. არ არის საერთოდ გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა, რომელიც სტანდარტითაა გათვალისწინებული. პროგრამა ითვალისწინებს ტურისტული მომსახურების გაყიდვის სპეციალისტის მომზადებას. მაგრამ არ ისწავლება საგანი - „მომსახურება და გაყიდვები ტურისტულ ფირმებში“, რომლის გარეშე შეუძლებელია სპეციალობის დაუფლება. პროგრამაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას ზემოაღნიშნული დისციპლინის სწავლება და სასწავლო პრაქტიკა. არსებული სახით პროგრამა ვერ უზრუნველყოფს მეოთხე საფეხურის ტუროპერატორის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- სტანდარტი მეოთხე საფეხურისთვის ითვალისწინებს ცოდნას შენდევ სფეროებში: ტუროპერეტივინგის დამახასიათებელი პროცესებისა და პრინციპების საფუძვლიან ცოდნას; მარკეტინგის, გაყიდვების, რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპების და სტუმარმასპინძლობის ეტიკეტის ცოდნას. მის პირდაპირ მოვალეობაშია მასზე დაქვემდებარებული პერსონალის ხელმძღვანელობა და მათთვის სამუშაოს დაგეგმვა-განაწილება. პროგრამით კი გათვალისწინებულია შემდეგი დისციპლინების შესწავლა: უცხო ენა; ტურისტული ტექნოლოგიები და ავიაბილეთების დაჯავშნის სისტემა; PR და რეკლამა; ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა; ტურიზმის მარკეტინგი. აღნიშნული 5 საგნიდან ორი - ტურისტული ტექნოლოგიები და ავიაბილეთების დაჯავშნის სისტემა და ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა სტანდარტით არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან ეს ცოდნა მეოთხე საფეხურის ტუროპერატორს არ მოეთხოვება. დასკვნა: პროგრამა უნდა შედგეს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეოთხე საფეხურის აღმწერის შესაბამისად. არსებული სახით პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს მეოთხე საფეხურის ტუროპერატორის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული: „მეოთხე საფეხურის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ ტურისტული მარშრუტების დაგეგმვას“. ასეთი ჩანაწერის ციტირება საჭიროდ ჩავთვალეთ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ყოფილიყო ხასხასმული იმ განსხვავებებზე რასაც ითხოვს სტანდარტი და თავაზობს საავიაციო უნივერსიტეტი. სტანდარტი არ ითხოვს მეოთხე საფეხურის ტუროპერატორისაგან ტურისტული მარშრუტების დაგეგმვას. ამდენად ამ კონკრეტულ პუნქტშიც თავს იჩენს შეუსაბამობა სტანდარტის მოთხოვნებსა და შეთავაზებულ პროგრამას შორის.

5. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 50%-ს, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის უნარების გამომუშავებას და განვითარებას, თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში კურიკულუმისგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას. მაგრამ არ არის გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა, რასაც პროფესიული სტანდარტი ითხოვს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პროგრამა უკვე შენიშვნების შესაბამისად იქნა ჩასწორებული და სტანდარტის შესაბამისობაში იქნა მოყვანილი რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. დაწესებულების წარმომადგენელი სტანდარტს არ ეთანხმება და მიაჩნია რომ პრინციპულად შეუძლებელია მისი მიხედვით კვალიფიციური კადრის მომზადება. იქ ჩამოთვლილი საგნების განსაზღვრული კრედიტის ფარგლებში შეთავაზება წარმოუდგენელია. საათების თვალსაზრისით ვერ მოხდება მისი ათვისება.

შესაბამისად დაწესებულებამ ამ ჩამონათვლიდან აირჩია ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები და გაწერა კრედიტების ფარგლებში.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ჩასწორებული ვერსია სხდომაზე ვერ იქნებოდა გათვალისწინებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

36. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს მომსახურებაზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის

ტურისტული პროდუქტის მომზადება, ტურისტული ბაზრისთვის შეთავაზება, სერვისის მომწოდებლების შერჩევა, ფასის შეთანხმება, კონტრაქტის გაფორმება, ტურპაკეტების შექმნა, ტურის მომზადება, დაგეგმვა, ორგანიზება მათი რეკლამირება და გაყიდვა, ინფორმაციების მიწოდება და მიღება პიარ ტექნოლოგიების გამოყენებით.“. ეს განმარტება ლაკონურია, მაგრამ გამორჩენილია მთავარი მიზანი - მოამზადონ სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ეს არის უნივერსალური ტუროპერატორი, რომელსაც უკვე აქვს გავლილი და შესწავლილი დაჯავშნისა და გაყიდვების ტუროპერატორის საფეხურები. მიზნის არასრულყოფილად ფორმულირება თავს იჩენს შემდეგში მის განსახორციელებლად დაგეგმილ აქტივობებში.

- პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, სადაც 30 კრედიტი განკუთვნილია სასწავლო კომპონენტებისათვის, ხოლო 30 კრედიტი საწარმოო პრაქტიკის კომპონენტებისათვის. არ არის საერთოდ გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა, რომელიც სტანდარტითაა გათვალისწინებული. *პროგრამა ითვალისწინებს სრულყოფილი სპეციალისტის მომზადებას, რომელმაც სიღრმისეულად იცის:*

- ტურიზმისა და მომსახურების სფეროს არსი და დანიშნულება;
- სტუმარმასპინძლობის ძირითადი პრინციპები;
- ბიზნესის წარმოებისა და მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები;
- ფინანსური მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები;
- ტურების დაგეგმვის ოპერაციული სისტემა;
- კადრების შერჩევის და დაქირავების მარეგულირებელი ნორმები;
- საქართველოს საგადასახადო სისტემა;
- ეკონომიკის საფუძვლები;
- სამართლის საფუძვლები;
- სოციალური და შრომის ფსიქოლოგიის საფუძვლები;
- პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- რეალიზაცია და მარკეტინგი;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- კადრების სწავლების, მომზადების, შერჩევისა და შეფასების პრინციპები და მეთოდოლოგია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები;
- ბიზნეს-იდეა და მისი განხორციელების შეფასება;
- ბიზნესის დაწყების შესაძლებლობები;
- ბიზნეს-გეგმა და მისი შედგენა;
- მეწარმეობის ფინანსური ელემენტები;
- საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები.

პროგრამაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას ზემოაღნიშნული უნარების შესაბამისი დისციპლინების სწავლება და აგრეთვე სასწავლო პრაქტიკა. არსებული სახით პროგრამა ვერ უზრუნველყოფს მეხუთე საფეხურის ტუროპერატორის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- სტანდარტი მეხუთე საფეხურისთვის ითვალისწინებს ცოდნას წინა, 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ სფეროებში, რომელთა რაოდენობა ათეულობით დისციპლინის შესწავლას მოითხოვს. პროგრამით კი გათვალისწინებულია შემდეგი დისციპლინების შესწავლა: ავიაცია და ტურიზმი; ტურისტული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება; საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვების ორგანიზაცია; უცხო ენა და ტუროპერირება. ცხადია, არსებული სახით პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს მეხუთე საფეხურის ტუროპერატორის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული: ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს მომსახურებაზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის ტურისტული პროდუქტის მომზადება, ტურისტული ბაზრისთვის შეთავაზება, სერვისის მომწოდებლების შერჩევა, ფასის შეთანხმება, კონტრაქტის გაფორმება, ტურპაკეტების შექმნა, ტურის მომზადება, დაგეგმვა, ორგანიზება მათი რეკლამირება და გაყიდვა, ინფორმაციების მიწოდება და მიღება პიარ

ტექნოლოგიების გამოყენებით“. ასეთი ვრცელი ჩანაწერის ციტირება საჭიროდ ჩავთვალეთ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ყოფილიყო ხასხასი იმ განსხვავებებზე რასაც ითხოვს სტანდარტი და თავაზობს საავიაციო უნივერსიტეტი. სტანდარტი ითხოვს და ეს თვითშეფასების კითხვარშიც დასტურდება პიარ-ტექნოლოგიების სწავლებას. რაც სასწავლო გეგმაში სხვა ათეულობით საჭირო დისციპლინებთან ერთად არ არის ასახული. ამდენად ამ კონკრეტულ პუნქტშიც თავს იჩენს შეუსაბამობა სტანდარტის მოთხოვნებსა და შეთავაზებულ პროგრამას შორის.

- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არ არის ლოგიკური. მეხუთე საფეხურზე ისწავლება დისციპლინები(ტურისტული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება), რომლებიც საჭიროა მესამე საფეხურზე სწავლებისას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პროგრამა უკვე შენიშვნების შესაბამისად იქნა ჩასწორებული და სტანდარტის შესაბამისობაში იქნა მოყვანილი რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აქაც ანალოგიურ შენიშვნებთან ქონდათ საქმე, რომელიც გამოწვეულია სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით, რაც სახეზე იყო სააკრედიტაციო ვიზიტის პერიოდისათვის და შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას განსხვავებული შინაარსის გადაწყვეტილება მიიღოს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში წინაპირობების ლოგიკურობა ასევე სტანდარტის დარღვევას წარმოადგენს და საბჭო იზიარებს ექსპერტთა შეფასებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

37. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „რვალის“ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზნებში უფრო სრულად იქნას ასახული დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები, აგრეთვე პროგრამის მიზნების ფორმულირებაში აქტიურად იყვნენ ჩართული პოტენციური დამსაქმებლები.

- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში მოხდეს პროგრამის საფეხურებრივი კომპონენტების გადახედვა იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სასურველი დისციპლინების არჩევის უფრო ფართო შესაძლებლობა (პროგრამაში სულ 3 კრედიტია). ამასთან, როგორც დარგის (ტურიზმი) სპეციფიკა, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის შესაძლებლობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროგრამაში კონკრეტული ასახვა ჰქონდეს მეორადმა (minor) სპეციალობამ;
 - სასურველია სასწავლო პროგრამაში ასახული უნდა იყოს სასწავლო პრაქტიკა, როგორც აუცილებელი კომპონენტი;
 - გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა იძლევა ჩანაცვლების საშუალებას, სასურველია, ისეთი საგნების, როგორცაა: საქართველოს ისტორია, ქვეყანათმცოდნეობა, ეთიკა-ესთეტიკა და ეკოლოგია არჩევითი საგნის რანგიდან გადატანილი იქნას სავალდებულო საგანთა რიგში.
 - სასურველია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ტურიზმის სპეციალობაში საქართველოში მომზადებული და გამოცემული ლიტერატურის (რიდერების) რაოდენობა სტუდენტების რაოდენობის შესაბამისი იყოს.
 - სასურველია, პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპს, დამყარებულია თანამშრომლობა სასტუმროებთან, ჰოსტელებთან და ტურიზმის დარგში მომუშავე სხვა კომპანიებთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია არ იქნა შეფასებული ვიზიტის დროს.
- ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება დაწესებულებას.
- ექსპერტმა განმარტა, რომ ქვემო ქართლი ტურისტულად პერსპექტიული რეგიონია, რომელსაც ამჟამად არ აქვს დიდი გამოცდილება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, რამაც, შესაძლებელია, განაპირობა თანამშრომლობის ქსელის ფორმირების პრობლემა.
- დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეორე და მესამე რეკომენდაციებს იზიარებს. პრაქტიკასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოაზრებული ქონდათ პრაქტიკის გავლა სასწავლო პროცესის პარალელურად, თუმცა ექსპერტის რეკომენდაციის გაზიარება მიზანშეწონილად მიაჩნიათ.
- დვით კიკალეიშვილი დაინტერესდა, პრაქტიკის გარეშე რამდენად იყო შესაძლებელი შედეგების მიღწევა.
- ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში პროგრამის კრედიტების რაოდენობასთან შეთანხმება მიღწეული იქნა ვიზიტის პროცესში და იგი უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებულ სამუშაოს დადებითად აფასებს.
- საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
- თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „რვალის“ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

38. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პოტენციურ დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტსა შორის მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ, დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების

მიზნით, სადაც განხილული იქნებოდა ყველა კომენტარი და რეკომენდაცია, რომელიც ეხება როგორც სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და კურსების შინაარსს, ასევე სწავლების მეთოდოლოგიას.

- ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიის ზუსტად, დეტალურად და კონკრეტულად გაწერა, როგორც ცალკეულ დარგობრივ სილაბუსში, ისე პროგრამაში, რათა პროგრამის გაცნობის შემთხვევაში მართებული წარმოდგენა შეიქმნას დარგის სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიურ ნაწილში;

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოიფარგლოს ლოკალური კონფერენციებით, მოახდინოს ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიიღოს მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შემოთავაზებულ სტიპენდიებსა და გრანტების კონკურსებში;

- ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია პროგრამის აღმასრულებელი აკადემიური პერსონალის დაინტერესება უცხოეთთან სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტებით, რაც უნდა ითვალისწინებდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობას სასწავლო პროცესებში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მობილობას უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პროცესებში, როგორც სწავლის, ისე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

- საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში მითითებული დამატებითი პროგრამის შესწავლის შემდგომ, საექსპერტო ჯგუფი იძლევა რეკომენდაციებს, რომ დამატებითი (minor) პროგრამა მომზადდეს და შეთავაზებული იქნას ძირითადი პროგრამის ფარგლებში, რომელთა სავალდებულო და არჩევით სტატუსს განსაზღვრავს პროგრამის ავტორი კომპეტენციების შესაბამისად;

- სასწავლო კურსების უმეტესობაში სწავლის შედეგები მოცემულია ზოგადი ფორმით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო კურსებში დეტალურად იყოს გაწერილი ის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, რომლებსაც შეიძენენ სტუდენტები კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ და რომელიც შემდგომ სათანადოდ იქნება ასახული კომპეტენციების რუქაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სამეცნიერო მუშაობის კომპონენტთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს მემორანდუმები საქართველოს და უცხოეთის, კერძოდ ბარსელონას უნივერსიტეტთან. საბჭოს წევრმა დააფიქსირა, რომ დაწესებულება არა მხოლოდ მემორანდუმის გაფორმებით უნდა შემოიფარგლოს, არამედ პრაქტიკულად წარმოაჩინოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალური მობილობის მონაცემები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მაინორად ნაჩვენები აქვთ ეკონომიკის პროგრამა, რომლის ძირითადი სპეციალობის ფორმით სწავლების გამოცდილება დაწესებულებას არა აქვს. უმჯობესი იქნება, დაწესებულებამ საკუთარი გამოცდილება გამოიყენოს იმ სფეროებში, რომლის პროგრამების შეთავაზების გამოცდილება მას აქვს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „რვალის“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

39. ა(ა)იპ - მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „ინკლუზიური განათლება“ (2 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტს - პროგრამის შინაარსი, კერძოდ შესრულებული არ იყო აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის 1.3, 1.4 პუნქტები.

დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხარვეზები აღმოფხვრილია და პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტს - პროგრამის შინაარსი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-4¹ თანახმად, (2012 წლის 7 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) „დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, აკრედიტაციის ექსპერტების შუალედურ და საბოლოო დასკვნებთან დაკავშირებით, წარუდგინოს მოსაზრებები ცენტრს, არა უგვიანეს 3 დღით ადრე, საბჭოს სხდომის გამართვამდე“. ამჟამად მოქმედი რედაქციით კი „ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება დაინტერესებული მხარის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ექსპერტთა დასკვნის შედგენის შემდეგ“. რამდენადაც, ექსპერტთა საბოლოო დასკვნა და ექსპერტთა დასკვნის ჩაბარების შემდეგ წარმოდგენილი მასალები წარმოდგენილი იქნა დებულების ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი გამოსწორებული მასალები.

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის განმახორციელებლის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „ინკლუზიური განათლება“ აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - „ინკლუზიური განათლება“ (2 კრედიტი) მიენიჭოს აკრედიტაცია.

40. შპს - პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული უნარები“ (2 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოების მასალებს (მათ შორის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს). საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის შუალედური და საბოლოო დასკვნები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტს - პროგრამის შინაარსი, (ექსპერტთა დასკვნის 1.3, 1.4, 1.7 პუნქტები) და რესურსი (ექსპერტთა დასკვნის 2.1 პუნქტი).

დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხარვეზები აღმოფხვრილია და პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-4¹ თანახმად, (2012 წლის 7 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) „დინტერესებულ პირს უფლება აქვს, აკრედიტაციის ექსპერტების შუალედურ და საბოლოო დასკვნებთან დაკავშირებით, წარუდგინოს მოსაზრებები ცენტრს, არა უგვიანეს 3 დღით ადრე, საბჭოს სხდომის გამართვამდე“. ამჟამად მოქმედი რედაქციით კი „ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება დინტერესებული მხარის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ექსპერტთა დასკვნის შედგენის შემდეგ“. რამდენადაც, ექსპერტთა საბოლოო დასკვნა და ექსპერტთა დასკვნის ჩაბარების შემდეგ წარმოდგენილი მასალები წარმოდგენილი იქნა დებულების ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი გამოსწორებული მასალები.

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის განმახორციელებლის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული უნარები“ აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შპს - პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - „პროფესიული უნარები“ (2 კრედიტი) - მიენიჭოს აკრედიტაცია.

41. ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სწავლების სწავლა“ (3 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ პროგრამის განმახორციელებლის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოების მასალებს (მათ შორის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს). საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის შუალედური და საბოლოო დასკვნები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამა ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს - პროგრამის შინაარსი (ექსპერტთა დასკვნის 1.3, 1.4, 1.5, 1.7 პუნქტები) და რესურსი (ექსპერტთა დასკვნის 2.2 პუნქტი).

კერძოდ:

- პროგრამის აღწერა მოიცავს მონაწილეთა შეფასების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისაღწევ შედეგებს; თუმცა არ არის მოცემული შეფასების კომპონენტების ზუსტი წილი, შეფასების ვადები და არ არსებობს მსმენელთა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

- თითოეული მოდულის თემატიკა შესაბამისობაშია მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან, თუმცა რამდენადაც პროგრამის აღწერას არ ახლავს სატრენინგო მასალა, მსმენელთა საკითხავი და სამუშაო მასალები. შესაბამისად ვერ დგინდება დაგეგმილი აქტივობებით მიიღწევა თუ არა დასახული მიზნები.

- პროგრამაში მითითებულია პროგრამის შესაბამისი კრედიტების რაოდენობა, რომელიც არ შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას. ასოციაციის განცხადებაში და ანოტაციაში მითითებულია, რომ პროგრამა სამ კრედიტიანია:

o 3 კრედიტი, მათ შორის საკონტაქტო - 50 სთ, არასაკონტაქტო - 26 სთ.

რეალურად პროგრამის კრედიტების ჯამური რაოდენობა 4-ის ტოლია:

• *I მოდული* - 2 კრედიტი (საკონტაქტო-24 სთ, არასაკონტაქტო-10 სთ)

• *II მოდული* - 1 კრედიტი (საკონტაქტო-12 სთ, არასაკონტაქტო-6 სთ)

• *III მოდული* - 1 კრედიტი (საკონტაქტო-13 სთ, არასაკონტაქტო-6 სთ)

ტესტირება - საკონტაქტო 1 სთ, არასაკონტაქტო - 4 სთ.

მოდულის სესიებისათვის განკუთვნილი საათების ჯამური ხანგრძლივობაც არ შეესაბამება საკონტაქტო საათების რაოდენობას- 8 დღე 5 საათიანი ტრენინგი ჯამში იძლევა 40 საკონტაქტო საათს, პროგრამის აღწერაში კი - 3 კრედიტის მოცულობა 50 საკონტაქტო საათია;

- არ არის მოცემული პროგრამის ბოლოს ტესტირებაზე დაშვების წინაპირობა;

- თანდართულ დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებლის მიერ მწვრთნელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

- პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები. თუმცა მისი გაცემის საფუძველია მსმენელის თითოეული მოდულის საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტზე დასწრება, ნაცვლად 75%-ისა.

- პროგრამის სასწავლო გეგმის აღწერისას არ ჩანს მწვრთნელთა საათობრივი დატვირთვა, ამიტომ ვერ დგინდება ადამიანური რესურსის გამოყენების მიზანმიმართულობა მიზნის მიღწევის პროცესში;

პროგრამის განმახორციელებელმა 2012 წლის 2 ივლისის კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის №02 - 4504), წარმოადგინა დამატებითი მასალები. ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ იქნა მხოლოდ ის მასალები, რომელიც არსებობდა ექსპერტთა დასკვნის შედგენამდე, თუმცა ფიზიკურად არ იყო ცენტრში წარმოდგენილი (მწვრთნელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სატრენინგო მასალა) ექსპერტთა დასკვნის შედგენის შემდეგ შექმნილი დოკუმენტები კი მხედველობაში არ იქნა მიღებული. ზემდინიშნული მასალების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ, სატრენინგო მასალები, შეფასების კრიტერიუმები და ფორმები შესაბამისობაშია პროგრამის მოდულების მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან, ხოლო მწვრთნელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები კი არ იქნა წარმოდგენილი, რადგანაც ხელშეკრულებებს არ აქვს ძირითადი რეკვიზიტები: გაფორმების თარიღი, მხარეების ხელმოწერები, ასოციაციის ბეჭედი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ იქნა დაწესებულების მხრიდან შაბლონური ხელშეკრულება წარმოდგენილი, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდამ რომ დაწესებულებას ხელშეკრულებები ჰქონდა წარმოსადგენი და მას ამისი საშუალებაც მიეცა.

თავმჯდომარემ მისცა პროგრამის განმახორციელებელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

პროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ ერთხელ უკვე მიიღო აკრედიტაცია (რა დროსაც ადგილზე განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი). წარმომადგენელმა იკითხა თუ რატომ არ მივიდნენ ექსპერტები ადგილზე.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ განმარტა, რომ პროცედურულად, ცენტრს ადგილზე ჩასვლის ვალდებულება არ გააჩნია.

დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, პროგრამა 2 წლის მანძილზე უკვე იყო აკრედიტებული და ე.ი. აკმაყოფილებს სტანდარტებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუალედურ და საბოლოო დასვენებზე ცალ-ცალკე მუშაობს ჯგუფი და საბოლოო დასკვნა ეგზავნება მხარეს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რაიმე შეიცვლებოდა თუ არა, ექსპერტები თუ ადგილზე შეამოწმებდნენ პროგრამას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი ხარვეზი იყო კრედიტების შეუსაბამობა, მითითებული იყო რომ პროგრამა 3 კრედიტიანია, თუმცა რეალურად, პროგრამა 4 კრედიტზე იყო გაშლილი. ექსპერტის აზრით, ადგილზე ჩასვლის შემთხვევაში, მხოლოდ ის იქნებოდა განსხვავება, რომ მათ ხელშეკრულებების ნახვის საშუალება მიეცემოდათ.

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სწავლების სწავლა“ აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სწავლების სწავლა“ (3 კრედიტი) - უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

42. ა(ა)იპ - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „1 – 6 კლასების მათემატიკის მასწავლებლების მომზადება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად“ (2 კრედიტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოების მასალებს (მათ შორის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს). საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის შუალედური და საბოლოო დასკვნები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:

მომხსენებლის განმარტებით, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამა ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს - პროგრამის შინაარსი (ექსპერტთა დასკვნის 1.2, 1.3, 1.5 პუნქტები) და რესურსი (ექსპერტთა დასკვნის 2.3, პუნქტები).

კერძოდ:

- პროგრამაში განსაზღვრულია მიზნობრივი ჯგუფი, თუმცა განსხვავებაა პროგრამის ანოტაციასა და პროგრამის აღწერაში განსაზღვრულ მიზნობრივ ჯგუფებს შორის. ანოტაციაში მიზნობრივი ჯგუფია დაწყებითი კლასის მასწავლებლები, მათემატიკის მასწავლებლები და 1-6 კლასების მათემატიკის მასწავლებლობის მსურველი უმაღლესი განათლების პირები, ხოლო პროგრამის აღწერაში კი – დაწყებითი კლასის მასწავლებლები, მათემატიკის მასწავლებლები და 1-6 კლასის მათემატიკის მასწავლებლები. ასევე განსხვავებულადაა განსაზღვრული პროგრამაში ჩართვის წინაპირობები. ანოტაციაში განსაზღვრული პირობა (მასწავლებელმა ან მასწავლებლობის მსურველმა ორგანიზაციას უნდა მიმართოს და დარეგისტრირდეს) მოიცავს პროგრამის აღწერაში მოცემულ წინაპირობას. ამის გამო ვერ ვიტყვით, რომ მიზნობრივი ჯგუფი და პროგრამაში ჩართვის წინა პირობა განსაზღვრულია.

- არ არის მითითებული მსმენელთა შეფასების ვადები. განსაზღვრული არ არის თუ რამდენ ქულიანია შეფასების სისტემა და რა არის მინიმალური ბარიერი. პროგრამის აღწერაში არ არის მოცემული მონაწილეთა შეფასების მეთოდები, რის გამოც ბუნდოვანია მოცემული სისტემის გამოყენება. პროგრამას დანართის სახით აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი, რომელიც სასურველია დაინომროს.

- პროგრამის ანოტაციაში მითითებულია რომ პროგრამა ორ კრედიტიანია, საკონტაქტო საათების რაოდენობაა - 30სთ, არასაკონტაქტო საათები -20 სთ. პროგრამის აღწერაში კი მითითებულია რომ მოდულის ხანგრძლივობა შეადგენს 39 საკონტაქტო საათს რითაც ირღვევა პროგრამის ადეკვატურობა ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სასწავლო გეგმაში საათების ჯამის გათვალისწინებით (30სთ) უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მექანიკურ შეცდომათა რიცხვს მიეკუთვნება.

- ბუნდოვანია არასაკონტაქტო საათების გამოყენების ხერხები და მეთოდები;

- პროგრამა გათვლილია 30 საკონტაქტო საათზე. რამდენადაც პროგრამა მოიცავს დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ყველა საკითხს, შესაძლებელია ვერ მოხდეს პროგრამის 30 საკონტაქტო საათში ათვისება, შესაბამისად სასურველია მოხდეს მიზნებისა და შედეგების რეფორმულირება;

- მწვრთნელბთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის ასახული მწვრთნელის მაქსიმალური დღიური დატვირთვა;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დებულებიდან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ დაწერონ დადებითი დასკვნა თუ პროგრამა შეიცავს ხარვეზებს.

თავმჯდომარემ მისცა პროგრამის განმახორციელებელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

პროგრამის განმახორციელებელმა განმარტა, რომ ეს პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და პროექტში ეწერათ რომ აკრედიტაციას გაივლიდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა შესაძლებელი საბჭოს გადაწყვეტილებას ზემოქმედება მოეხდინა დაფინანსებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამის წინასწარ თქმა შეუძლებელი იყო.

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამოქალაქო განვითარების ინსტიტიტუტის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „1 – 6 კლასების მათემატიკის მასწავლებლების მომზადება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად“ აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - „1 - 6 კლასების მათემატიკის მასწავლებლების მომზადება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად“ (2 კრედიტი) - უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

43. ა(ა)იპ - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „კლასის მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. პროგრამის განმახორციელებელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოების მასალებს (მათ შორის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს). საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროგრამის განმახორციელებლის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შუალედურ და საბოლოო დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის შუალედური და საბოლოო დასკვნები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მომხსენებლის განმარტებით, ექსპერტთა დასკვნა დადებითია - პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს - პროგრამის შინაარსს და რესურსებს.

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამოქალაქო განვითარების ინსტიტიტუტის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „კლასის მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“ აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - სამოქალაქო განვითარების ინსტიტიტუტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - „კლასის მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“ (1 კრედიტი) - მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 23⁵⁵ საათზე
თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე
ბაჩანა შენგელია

მდივანი
დიმიტრი ალავეიძე

